№ 12 (1334) ივნისი 1970

ეშელი

გამოცემის 47-ე წელი ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ნახ. ალ. ...

— ასე ძველებურად ვინდა იღებს სურათს? ახლა შვილი თავზე უნდა აჯდეს მშობლებს!

აქა ამბავი ვაჭრობის ზოგი

ჭარელის რაიონის **სოფელ ბრეთის** მაღაზიის გამგე-გამყიდველს — **ოთარ ილიას ძე ედილაშვილს** ვაჭრობის თავისებური მეთოდები აქვს. ეთქვათ, შეხვედით მაღაზიაში, მოგეწონათ რომელიმე საქონელი და იკითხეთ ფასი (ფასი, რა თქმა უნდა, საქონელს არ ეწერება). იგი სათნოებით სავსე თვალებით შეგიხედავთ და მოსიყვარულეთ, თბილი ტონით გიპასუხებთ: ამდენი მანეთი და ამდენი და ამდენი კაპიკი, გეხადავდეთ. კაპიკებს იმიტომ ამბობს, რომ დამაჯერებლობისათვის სჭირდება. „აი, ვაჭრობის ნამდვილი, პატიოსანი მუშაკი, როგორ კაპიკ-კაპიკ ანგარიშობს!“, ფიქრობთ თქვენ და საქონელს უყოყმანოდ ყიდულობთ. სინამდვილეში კი... სინამდვილეში კაპიკები რა მოსატანია!

მაისის ერთ მზიან დღეს სიცხისაგან გათანგული ნიანგი **ჭარელის რაიონს** ესტუმრა და **ოთარ ედილაშვილიც** მოინახულა, მართალი გითხრათ, ცოტ დროს. ზუსტად იმ დროს, როდესაც მოსმბარებელ ჯ-ძეს **46-მანეთიან** ქალის ფაკეტში **49 მან. და 50 კაპ.**, ხოლო მამაკაცს **5-მანეთიან პერანგში 6 მან. და 50 კაპ.** გადაადგენენა. მოიგონეთ ზემონახსენები მეთოდი — კაპიკების როლი დამაჯერებლობის საქმეში!

თითქმის იგივე მეთოდებით სარგებლობს **ქარელის რესტორნის** მიმტანი **ვერა იაკობის ასული ლიაშენკო**, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი ცოტა უფრო ბრაზიანია. მაგალითად, იმავე დღეს ნიანგი ასეთ სურათს შეეწყრო: „ალილეებული **ვ. ლიაშენკო** ჯვარობდა: წარმოგიდგენით, ესენი არიან კლიენტები? **11 მანეთი და 64 კაპიკი** ვეუანგარიშე და ზუსტად გადაიხადეს, **12 მანეთიც** კი არ მომიცეს (ვიხსენეთ ისევ კაპიკების როლი!). დარცხვენილმა მომხმარებლებმა — ზ-ძემ და ტ-ძემ ალარ იცოდნენ, რა ექნათ. სინამდვილეში კი ამ „ცეცდ“ კლიენტებს მხოლოდ **8 მან.** უნდა გადაეხადათ!

აგარის მუშაობა კოოპერატივის № 2 სასადილოს მებუფეტე **დემიანინ კონსტანტინეს ძე ანანოკოფი** და სოფელ **ურბნისის** მაღაზის სექციონერი **ნაბაზი გიორგის ასული ინდუაშვილი** კატეგორიულად უარყოფენ ასეთ მეთოდს და მას „კაპიკომანიას“ უწოდებენ. ისინი უფრო თანნის დამრგვალების, ანდა მრგვალი თანხის წამატების მომხრენი არიან.

მებუფეტე **დ. ანანოკოფმა** მომხმარებლებსა— ი. მ-ასა და ო. ჯ-ძეს **5 მან. და 88 კაპ.-ის** ნაცვლად, **7 მანეთი** გადაახდევინა. (აქ, ცოტა არ იყოს, ნიანგს გაუკვირდა: რატომ **8 არ** გადაახდევინა, ის ხომ უფრო მრგვალი ციფრია?).

სექციონერი **ნ. ინდუაშვილი,** ქალი რომ არ იყოს, იფიქრებდი, ვინმე თავზეხელიღებული ყანაღი ან მძარცველია შემოპარული მაღაზიაში. მაისის იმავე მზიან დღეს, სიცხისაგან დაღლილი ნიანგის თვალწინ, მომხმარებელ-ს **15 მანეთად** ღორებულ საქონელში **21 მანეთი** გადაახდევინა.

მტკიცებენ ხომ არ ასის, ქალბატონო ნაპაზნ?!

ახლა მოვუსმინოთ **ქარელის გასტრონომიული მაღაზიის** საკონდიტრო სექციის გამგეგამყიდველ **შუბნოიძეს:**

— არა, ძმაო ნიანგო! ასეთი რამეები ჩემი საქმე არ არის. წვრილ-წვრილად ჯობია. მერე დაგროვდება და ბევრი გახდება. მე რას მერჩინი? ფასებში ხომ არ გატყუილეთ? წოლნაში ცოტ-ცოტას ჩამოგაკლეთო, თქვენ ბევრი ხართ და ამით არაფერი დაგიმავდებთ, მე კი ერთი ვარ და ოჯახი ამიჭენდება. სწორი არა ვარ, ძმაო ნიანგო?!

ნიანგი ჩაფიქრდა ამ საკითხზე და პასუხს, ალბათ, მალე მიიღებს **შუბნოიძე.**

ჭარელის რაიონში ვაჭრობის სხვა მეთოდოთაც სარგებლობენ თუმცა. ეს არის საქონლის გადამალვის მეთოდი. **აგარის** სოფლის კოოპერატივის შერეულ მაღაზიაში რომ შეხვიდეთ, უკან გამოსვლა კი არა, გამოქცევა მოგინდებათ. ერთი ისეთ საქონელს ვერ ნახავთ, თვალს რომ შეეხედგიდოდეს. მაგრამ, აბა, შედით სექციის საწყობში. მოგიკვდეთ გამგე **სიმონ აბრამის ძე ოისებაშვილი,** თუ უკმაყოფილო გამოგიშვათ. რა? არ ნახავთ ამ: იასოსური სვეტრი გირჩევნიათ თუ უნგარული? იქნებ, ჩეხური ჩანთები ვნებავთ? ან უნგარული კაბები, ფრანგული „დეფიციები“. მოკლეც, შენ ინატრე და ყველფერი იქნება, ოღონდ ის დადე, ჩვენ რომ ვიცით!

ბარაქაია, სიმონ, ყოჩაღ!

მსგავსი სურათი აღმოჩნდა რაიონვიერმაღის მზა ტანსაცმლის სექციის საწყობშიც. ამ **1407 მანეთის** მაღალი მოთხოვნილების ისეთი იმპორტული საქონელი იყო გადამალული, რომელიც გასაყიდად არ ჰქონდათ გამოტანილი.

ქსოვილების სექციაში გამგე **შ. ი. ფიფივაძეცა** და გამყიდველ **ნ. ი. ნადირაძეს** ქალის „ბლუზა“ და მამაკაცის პერანგები აღმოაჩინდათ.

— ეს საქონელი ჩვენია, ჩვენთვის შევიძინეთ! — ერთხმად ამეტყრდა ორივე.

გვკერა, რომ თქვენია, მაგრამ მაშინ ნიანგი ერთ რაციონალურ-ზატორულ წინადადებას შემოგთავაზებთ: შეიძინეთ კარადა, მოიტანეთ საწყოლები, მაგიდა, ჩამოაფარეთ ფარდები და, საერთოდ, სამსახურში მოეწყეთ ისე, როგორც საკუთარ მყუდრო ბინაში!

შ. ი. ფიფივაძემ ერთი რამითაც გაიკვირვა ნიანგი: სექციონერ დადგმული საკმაო მოცულობის სალარო, მას, როგორც ჩანს, რაიონ-ნივერმაღის სამკალელ ან ბაღშვების გასართობი სათამაშო ჰგონია.

— ხელიხელში არ ჯობია ეკრობა? — დამუშავებული მაპიტი გულუბრყვილობით ამბობს იგი.

კიდევ ერთი რამ გვინდა შევახსენოთ გამყიდველ **ნ. ი. ნადირაძეს:** თუ გინდა ვინმეს რამე ასესხო, წაიყვანე სახლში და საკუთარი დანაზოგიდან მიეცი, რა თქმა უნდა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეხლობი. თუ არ ეხლობი, ნოტარიუსს წესით გაუფორმე! მოკლედ, ყველფერს თავისი წესი აქვს. სახელმწიფო კონებით ვაჭრობას კი — მით უმეტეს.

სად იყო და სად არა, მოულოდნელად რაიონვიერმაღის შეზარხოშმბული დირექტორიც გამოჩნდა.

— **შალვა ისაკის ძე დავარაშვილი,** — ეცნობა იგი ნიანგს და სიმთვრალისაგან ისე ირწვევა, „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“.

— ეჰ, ნიანგოჯან, რომ იცოდე შენი გულისთვის გორში რა ბურის ჯაჭა შევატოვე, — იმადლეა იგი და ბოლოს ბარბაცებ-ბარბაცებ ასკვნის: ხომ გაგიგონიათ ანდაზა, ქართველი წყალი დალია და ღმერთს შეეხდაო. განა ისეთი რა მოხდა?

არაფერი, ერ ბიმბერა, ბიტეთ-ბიტეთ! შენ „ბერიკუბაში“ გაგაკეთებ ცალ ლეგენდას! ქარაგად იქნები! ეხეთ-ეხეთ! ჩემ ერეკ, ბავშვებ, რაკ ეგ ბენეზარეთ ეთ ეთ

ქალაქი, ოკეანეა ადამიანი

ნახ. გ. ფირცხალავასი



ეფიგენიას რაიონის სოფ. **ზემო არცევის** კოლმეურნეობის საქონლის ავტომანქანის მძღოლმა **ალექსანდრე ივანეს ძე კაზიევმა** ისე კარგად რომ იცოდეს მანქანის მართვა, როგორც გორის რესტორნების გზა, თავის კოლეგებში ბადალი არ ეყოლებოდა.

კაზიევის ტექნიკურად ვიფმართავი მანქანა გორი — ცხინვალის ტრასაზე 100 კმ-ზე ნაკლებს არ ანვითარებს და, ვთქვა, იმ მსუბუქ მანქანას, რომელიც იმ დროს მის საპარასპარიოდ მიჰქონდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ კაზიევი, რაც უფრო მეტ „პილატს ცრემლებს“ დებულობს, მით უფრო სწრაფად დადის.

იმ დღესაც სწორედ ასე იყო: კაზიევმა გორის „ინტურისტს“ რესტორანში ორ ბოთლ მოსკოვურ არაყს უჭვენა ძირი, ოფიცერფასიანებო ბარბაცით მიფოფხდა მანქანის საჭესთან, და ჯერ, ბიჭო, შშოლლიერ სოფლისაკენ!

მილიციის მუშაკებმა — ა. ყურტანიძემ, გ. ქიმერიძემ და გ. ძაგნიძემ იმ დროს დაკავეს დასაფუძავად განწირული მანქანა, როცა მძღოლს ხერხივა უნდა ამოეშვა.

მეორე დღეს გამოფიხზოლებულ **კაზიევს** მოუყვანენ, რომ ხალხთ სავსე შემხვედრი ავტობუსი სასწაულებრივ გადაურჩა მის მანქანასთან შეჯახებას. ნახანხესე მძღოლს სიცილდა ეს ეყო: კინაღამ დაჯახება არ ითვლებოდა.

არ ვფიდი დიდი დრო, რომ ოფიცერთა იმავე შემადგენლობამ, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ეზოში, ავტომანქანა „ვაზ-51, № 53-50 ბრტ“ შეშოფორეა, ხოლო **ალბერტ რეკალის ძე დუდაევი** ორ მთვრალს ხელკეტგაყრილი ამოსავდით კიბეებზე, როგორც ეს საპატიო სტუმრის ეკადრება. შეზარხოშებული **დუდაევი** მეორეთ და ორ კიცს აქეთ-იქით ამარბაცებდა. სამორეგიო ნაწილში დამხედურებს დაიკვირა სათითაოდ, თვალი ჩაეკრა, ხელები მოიფშვნიტა და სკამზე დაეშვა.

შემდეგ კი... ათმანეთიანი ჭმიილი და მორიგეს მიმართა: წადი, სამ ბოთლს ეყიდეალ, დანაგრეულებს უპასუხა. მომდეკენო შეკითხვაზეკაც რომ ვერ უპასუხა, გოიცებულ შეეკითხა:

— ნუთუ არაფერი იცით?

— ბავშვებს გეფიცებით, არ ვიცი. რომ ვიცოდე, თქვენზე უკეთესს ვის ვეტყოდი!

ბოლოდდე ალარ მოეიცადა. ალარ ვიცი ალიო თუ არა მესაქე დიალომი. შეიძლება, ალიო და ახლა მეოთხე დიალომის ალბასაც ფფქრობს. ვინ იცის! ზოგი კოლექციონერობაში ცუღს არაფერს ნედავს.

ბუდუ დარბაიძე



ნახ. ზ. ფეიერბერგისა

— ჩვენი კალსტრატეტ, შენ ხარ ჩვენი ბატონი, ეს ოცდაათი წლის მოკვდა.

— ეგ ბიდმგსა და ატარისტმეს რომ არ შეშალეთ ხალმი, კიდე კაი ხანს იცოცხლებდაა!

ძვირფასო რედაქციავ

შაკი რამდენი წელიწადია, თქვენთან ვიგზავნი კრიტიკულ ლექსებს და, ჯერჯერობით, არც ერთი არ დაბეჭდილა. რაშია საქმე? არ მოგწონთ? მე კი დარწმეკნებული ვარ, რომ ჩემი ლექსები სხვისე ნაკლები არ არის. ვისაც ეკითხავ, ყველა მეუბნება, ძალიან კარგი სასაცილოაო.

ჩემი შეხედულებით ეს, ძირითადად, ვეუბნი სასაუბრეებში არსებულ დარღვევებს.

მაინტერესებს, რა ბედი ეწია ჩემს კრიტიკულ ლექსებს: „ქანაბში, ლამპის სანაბში“, რომელიც ეხებოდა ქანაბით ვაჭრობასა და ხალტურას; „ხინკალნი რაღაც შეენიშნე“, რომელიც ნოდას ხინკალი მოხალტურეებს; „სიასაბუკე და სასასაცკე“, სადაც სასტიკად ვანადგურებდი ბაბ, ვინც სასისკენ ეყენებს საკუთარი მიზნებისთვის და „ხარრნ, ხაში, ხაშლამა“, სადაც ერთი ხელის მოსმით, სამივე კერძის ფალსიფიკატორებსა და მოხალტურეებს სამარცხვინო ბოძზე ვაკრავ.

ახლა კიდევ გიგზავნით კრიტიკულ ლექსს, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა დღეში აყენებენ ტალლს სასაუზმეებში და როგორ ისკალენენ ჯიბეს ტალლის ფულობით.

დამეკითხეთ გიზოვეთ, დამეკვეთეთ ეს ლექსი! დაეკითხეკეთ თვითონ გამომტანარს განაჩენი!

ეი, ეს ლექსიც:

ჯოლმის ჯოლა ჯოლმა

სასაუზმის ტალლის ტალლა დეეტალლ.
უთხრა ტალლმ ტალლმს:
„რაფ ხარ ამოტალლ?“
„მეკერის, — უთხრა ტალლმ, —
თუ ხარ მარილა ტალლა,
გინდა ოყო ტანა,
მაინეკა ხარ ტალლმ!“
გიეკინა ტალლმს,
ტალლის ტალლა ტალლას,
თქვა: „ეს დაკა, ტალლმკ,
გადაწკეკიტს „ხატალლ“,
სასაუზმის „ხტალლმ“,
ოთხეტხან და სწორაბა.
ამე უთხრა ტალლას:
„ორივე ხარ ტალლმ,
ტალლი ინნო ტალლმ“.

ანანოოო მაჩაოთაძე

რედაქციისაგან: ვასარულებთ **ანატოლ მაჩაოთაძის** დაკვნებულ თხოვნას და მის წერილსა და ლექსს ვბეჭდავთ უცვლელად.

ნახ. გ. ფირცხალავასი

ᲣᲡᲘᲐᲧᲕᲘᲚᲘ

ᲥᲘᲠᲘᲗᲘ ᲓᲣᲓᲣᲚᲐ გაზის ᲭᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ შედგმული ᲮᲐᲚᲨᲐᲚᲘᲗ სავსე ᲭᲘᲐᲒᲘᲗᲘᲗᲘ...

— ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲣᲙᲘᲗ, ᲐᲠᲐᲤᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲐᲭᲠᲐ...

— ᲢᲘᲢᲘᲣᲗᲘ!.. ᲛᲘᲛᲘᲔᲣᲚᲘᲡ!

— ᲗᲣᲗᲣᲗᲘᲗ! — ᲛᲘᲐᲪᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲜᲔᲒᲐᲛ.

— ᲠᲝᲒᲠᲐ ᲒᲘᲒᲐᲠᲔᲑᲐᲛ! — ᲛᲘᲐᲪᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲐᲜᲔᲒᲐᲛ.

ᲯᲔᲠᲘᲪᲘᲡ ᲢᲣᲤᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲬᲛᲣᲚᲘ ᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲐᲢᲝᲛᲑᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲬᲘᲜᲐᲠᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲛᲘᲡᲐᲬᲘᲜᲐᲠᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ

იანუშ ოსენკა
(პოლონეთი)

ეთხოვა, გამიფრთხილეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]!..

მოქმედი პირები:
სტუმარი
ოფიციანტი
დირექციის წარმომადგენელი

ოფიციანტი: ინებეთ, გეთაყვა, თქვენს მიერ შეკვეთილი კერძი! **(კერძს მაგიდაზე დებს და გადის. უცებ სტუმარს დირექციის წარმომადგენელი მიუჯდა გვერდით).**

წარმომადგენელი: შეიძლება, თქვენს გვერდით ჩამოვჯდე?

სტუმარი: მომიტევეთ, მაგრამ მე თქვენ არ გიცნობთ. ეს ჩემი მაგიდაა.

წარმომადგენელი: რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მე, მართლაც თქვენი მიწვევის გარეშე მოგიჯექით, მაგრამ ეს იმ ყურადღების ბრალია, რასაც ჩვენი დირექცია იჩენს კლიენტების მიმართ.

სტუმარი (მიირთმევს სუფს): მაპატიეთ! **(ყვირის)** ბატონო ოფიციანტო, რატომ არის სუფი ცივი?!.

წარმომადგენელი: ერთი წუთით შეიცადეთ! ნუ უძახით! სწორედ ამიტომ ვიმყოფები მე აქ.

სტუმარი: რატომ?

წარმომადგენელი: იმიტომ, რომ ადგილზე გამოვეხმაურო ჩვენი სტუმრების პრეტენზიებს. წინათ, უმთავრესად, ასე ხდებოდა: კლიენტი, რომელიც რაიმე ნაკლს აღმოგვიჩენდა, თავის კრიტიკულ შენიშვნებს საჩივრის წიგნში წერდა. რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მისცემდა საჩივრის წიგნს. შემდეგ, მთელი კვირა, ელოდა დირექციისაგან პასუხს. ახლა კი გადავწყვიტეთ, პრეტენზიებზე მაშინვე გავცეთ პასუხი, მაგიდასთან, ზეპირად. მე დირექციის წარმომადგენელი გახლავართ და, ვალდებული ვარ, ახალვე გავცე პასუხი თქვენს მოსალოდნელ რეკლამაციებს!

სტუმარი: (ზიზღით გადაყლაპა სუფი): აი, თურმე რა ყოფილა!

წარმომადგენელი: ჩემთვის ასევე სასიამოვნოა, რომ შემიძლია, დაუყოვნებლივ გიპასუხოთ თქვენს პირველ შენიშვნაზე: სუფი ცივია. იცით, რა? უმიზეზოდ არაფერი ხდება. ჩვენი რესტორანი ცივი სუფით იმიტომ უმასპინძლდება კლიენტებს, რომ პირდაპირ სამარცხვინოა სუფის სახარშავი ქვაბების კონსტრუქცია, არასახარბიელოა სათბობი მოწყობილობა და, საერთოდაც, მეტისმეტად ცუდად არის ორგანიზებული სამზარეულოში მუშაობა. თუმცა ოფიციანტი ცდილობს, საკუთარი სუნთქვით გაათბოს სუფი, მაინც არაფერი გამოსდის — სუფი არ თბება. გარწმუნებთ, დამნაშავე მხილებული იქნება. მთელი სულითა და გულით გთხოვთ პატიებას!

სტუმარი: არა უშავს, სუფთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია. კარტოფილს რაღა მოუვიდა? არ მინდა მეტისმეტად **გავჭირვეულდე**, მაგრამ მას ბენზინის სუნი უდის **(წარმომადგენელს ცხვირთან მიუტანა კერძი).**

წარმომადგენელი: აი, თურმე რა ყოფილა! ყველაფერი ნათელია. ახლავე ყველაფერს აგიხსნით! მაშ, ასე: გასულ კვირას ქვაბში, შემთხვევით, ბენზინიანი ბოთლი ჩავარდა. დამნაშავეები უკვე დაისაჯნენ.

სტუმარი: რა გაეწყობა, ესეც გასაგებია! კარგი, ასე იყოს, თუმცა არ მეგონა, ესოდენ უსიამოვნო თუ იყო ბენზინის სუნი. იქნებ ჯობს, სოკო გავსინჯო? თითქოს არა უშავს, მაგრამ ხორცი?! ხორცი ქვასავით არის.

წარმომადგენელი: მესმის. დიახ, დიახ, ასეა! ეს ხომ ბებერი ხარის ხორცია, თანაც ხარი შარშან დაკლეს. საკვებად იგი უვარგისია და მხოლოდ **გაუგებრობის** გამო მოხვდა სამზარეულოში. ამ საქმეში დამნაშავენი მიიღებენ საყვედურს გაფრთხილებით. მხოლოდ **გაუგებრობის** გამო მოხდა. გასაგებია?

სტუმარი: დიახ, რა თქმა უნდა. მაგრამ ეს ქაღალდი საიდან გაჩნდა სუფში?

წარმომადგენელი: აი, ეს კი გასაგებია. **(ჩაიღიმილა)** შეყვარებულთა ოინებია. ეს წერილი მზარეულს თავისმა საცოლემ გაუგზავნა. მზარეულსა და ამ წერილის გამომგზავნ ქალს ერთხელ კიდევ მიეთითებათ, რომ შეუძლებელია ასე სახალხოდ გამოააშკარაონ თავიანთი გრძნობები, ისიც სუფის მეშვეობით. გულითად ბოდიშს გიხდით! რა გემართებათ? ცუდად ხომ არა ხართ?!

სტუმარი (მუცელზე იტაცა ხელი): უცებ რაღაცნაირი საშინელი ტკივილი შემომაფრინდა მუცელში. არ ვიცი, რა არის ეს, ვერაფერი გამიგია!

წარმომადგენელი: როგორ გეკადრებათ! ნუთუ არ გესმით? ეს ხომ სავსებით ნათელია. ნუ გეშინიათ, გეთაყვა! უმიზეზოდ ამ ქვეყნად არაფერი ხდება. დამნაშავეა სოკოები, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, სოკოსგან გამოწვეული მოწამვლა. სამზარეულოში, **გაუფრთხილებლობის** გამო, აღმოჩნდა შხამიანი სოკოები. მეტსაც გეტყვით: დამნაშავეები მკაცრად დაისჯებიან. მით უმეტეს, რომ ეს როდია ჩვენს რესტორანში პირველი შემთხვევა, რამაც სიკვდილიანობა გამოიწვია.

სტუმარი: რა ო? ა ჰ! ვკვდები!

წარმომადგენელი: ნუ აღელდებით! ჩვენს თავს უფლებას მივცემთ, თქვენს ოჯახს სამძიმრის ბარათი გავუგზავნოთ და თანაგრძნობა გამოვუცხადოთ, გთხოვთ, მოგვიტევოთ! **(მომხიბვლელი ღიმილით):** მაშ, შევთანხმდით, არა?

სტუმარი: თუ თქვენ პატიებას ითხოვთ, რა თქმა უნდა! რაღა მაქვს საწინააღმდეგო! ოჰ!

თარგმნა ბათუ მელიამ

აგრესიის ახალი აქტი, რომელსაც ისრაელი მეზობელი არაბი სახელმწიფოების წინააღმდეგ ანხორციელებს, პოლიტიკაში საერთაშორისო ბანდიტიზმის ახალი რგოლია. არაბული ქვეყნების დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ამერიკელების კამბოჯაში შეჭრასა და ისრაელის ლივანზე თავდასხმას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.

გაზეთებიდან

ერთი ხელწერა



მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლქვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

ხატირება და იუმორი.
ჟურნალი „ნიანგი".

თბილისი, რუსთაველი:
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги».
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად
25/V-70 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-70 წ.
ქაღალდის ზომა
70×108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14
შეკვ. № 1671.
УЕ № 11314.
ტირაჟი 129,703.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ჰე, ქურხულო!

ჰე, ქურხულო, ქურდულადა
რად ჰქმენ საქმე ამა დარი:
ცოლ-შვილს რისთვის
შემოსწყერი,
შენ შეგირცხვა სამართალი!
წელი გადის, შენს ოჯახში
ავდარია, განა დარი?
(ელიან და ალბერტისგან
ალიმენტი არსით არი).
თბილისს აღარ ეკარები,
ბინა დასთმე საკუთარი.
გვიდეპეშე, თუ კაცი ხარ,
სად დაიდე საბუდარი!
იქნებ, ვინმეს გადააწყდი,
გული ორად გაიყავი,
ალიმენტი გამოგზავნე,
შენ თუ გინდა, მანდ იყავი!...

დამი ლანდია

თბილისის ზოგიერთ უბნებში სოკო-შადრევნები დამშრალია.

რამ დაგაშრო

რამ დაგაშრო, დალოცვილო,
ჩვენი ქუჩის „სოკოს" წყარო?
ამოდუღდი, რომ წყურვილი
მოგვიკლა და გაგვახარო!
ამოდუღდი, ნუ მოგვაკლებ
ნატახტარს და ბულაჩაურს,
შეფერილ და მოტკბო წყალში
აღარ მივცემთ მერე შაურს!

სერგო

ფათერაკიანი რეისი

მანქანა ხუთი იყო, მძღოლიც — ხუთი, ღვინის პატრონიც — ხუთი; ერთი სიტყვით, ყველანი თავიანთი საქმის ფრიადოსნები იყვნენ, საქართველოს ფარგლებს გარეთ მიჰქონდათ ოცდაცხრამეტი ექვსასლიტრიანი კასრი — შაქრიანი წყლით სავსე — ფულის საშოვნელად.

ავტომანქანებს წინ ექსკორტად ავტოკოლონა „2651"-ის მძღოლი **თვალავაძე** მიუძღოდა. ფხიზლობდა **ანზორი**, გამოცდილი ვაციკვით იკვლევდა თოვლიან გზას და სიფრთხილით ზვერავდა მიდამოს. მას უკან საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ავტომძღოლი **ავთანდილ ბილანიშვილი** მიყვებოდა.

ტრესტ „უანგბადმონტაჟკავშირის" მძღოლი **ანუშევან ვართანიანი** გაიშვიათებულ მთის ჰაერს ნაფაზებად უშვებდა ფილტვებისაკენ და მაინც არა ჰყოფნიდა.

მექანიზაციის ტრესტის — „პოდზემდორსტროის" სამმართველოს მძღოლი **აბესალომ შალვაშვილი** რომელიღაც სიმღერას ღიღინებდა და, მოშივებულ ხბოსავით, თოვლიან იალაღებს წყლიანი თვალებით გაჰყურებდა.

კოლონას უკან **შალვა კოკონაშვილი** მიჰყვებოდა „ზილ" 130 მარკის მანქანით.

მოწინავემ, ჯვრის უღელტეხილის ქვემოთ, ნარზანის წყალთან, გააჩერა მანქანა. კაბინებიდან გამოსულმა მძღოლებმა და ღვინის პატრონებმა წრე შეჰკრეს და გაიბა გულახდილი საუბარი:

— ბიჭებო, განა თითო ჭიქა ღვინის დალევა გვაწყენს? — შეეკითხა ღვინის პატრონი **ალექსანდრე ლეკიშვილი** მძღოლებს.

— კაცო, რა დროს ეგ არის, ჯერ სამშვიდობოს გავიდეთ.

— ჩვენც, რაც მშვიდობით გამოგვივლია, იმისი დავლიოთ! — კვერი დაუკრა **მიხეილ გელაშვილმა**.

— თვითონ შენ დალევ შენს ღვინოს?

— არა, მე ისევ ჩვენებური ჭაჭით დაგლოცავთ. — ჩაილაპარაკა მიხეილმა, თლილი ჭიქა ბილანიშვილს ჩაუდო ხელში და ტიკიდან გადმომჩქეფარე სითხით გაუვსო სასმისი.

— ეს ჩვენს კეთილ მგზავრობას გაუმარჯოს, ბიჭებო! დანარჩენი გზაც მშვიდობით გაგვევლოს! — წარმოთქვა სადღეგრძელო **ავთანდილმა** და წამით მამაზეციერს შეხედა.

— ვაიმე დედი, კბილები დამაძრო, ჩაი, ასეთი ცივი, ჯერ არ დამილევია.

— აბა, ახლა ჩემი ღვინისა გასინჯეთ! — შესძახა **ვანო გეჟანიშვილმა** და სავსე ყანწი **ვართანიანს** შეაჩეჩა ხელში. **ანუშევანს** პირველ ყლუპზეჟე დაემანჭა სახე და, ხველებით ცრემლმორეულმა, ძლივს ამოღერღა:

— მკლავთ, კაცო?! რა დაგიშავეთ?

გიორგი გელაშვილმა ბიჭებზე მოუტყაპუნა ხელი **ვართანიანს**.

— ამ ღვინის გამოკეთებამდე არაფერი გეტკინოს! ნუ გეშინია, არ მოგკლავს, ძმარმა მხოლოდ გახდომა იცის, — უთხრა და თავის მეზობელ ველისციხელ **გიორგი სულხანიშვილს** გასძახა:

— ხომ გითხარი, გიორგი, მუავეა-მეთქი? არც ახლა დაიჯერებ?

— არა უშავს რა, ერთი ამ დრიალს გადავატაროთ და მერე კიდევ დავატკბობ.

— ჰოდა, რაც შენ ტკბილად მოგიგონონ და დაგლოცონ ამ ღვინის დალევის შემდეგ, სულ შენი იყოს,ღმერთმა მარტო შენ მოგახმაროს! — დალოცა ცრემლების წმენდით **ვართანიანმა**.

— კიდევ დალევთ, ბიჭებო? — იხტიბარი არ გაიტეხა **სულხანიშვილმა**.

— არა, ძია გიორგი, საღსალამათად გვინდა დავუბრუნდეთ ცოლ-შვილს, გვეყოფა, სავსე ვართ შენი პატივისცემით, — მადლობა გადაუხადა **რომელიღაც** მძღოლმა.

— აბა, მაშ წავიდეთ, დროზე მოვიშოროთ ეს ვერანა ღვინო!

მაგრამ, ვერც ვერანა ღვინო მოიშორეს და, ვერც დანიშნულების ადგილზე მივიდნენ მშვიდობით. საქართველოს ავტოინსპექციის მცხეთის ცალკეული ოცეულის შეტყობინებით ყაზბეგის რაიონის მილიციამ ისევ გურჯაანის მილიციის მისამართით მისცა ველისციხელებს საგზური და თან, ყოველგვარი ფათერაკის თავიდან ასაცილებლად, თოფიანი „ექსკურსიამძღოლიც" გამოაყოლა გზაში.

მშვიდობით მგზავრობა გქონდეთ, ველისციხელებო!

ვ. კახელიშვილი

ИНДЕКС 76137

1/1970
70-422